ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 59

25 ივნისი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომა ჩატარდა იურიდიულ, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების, სატრანსპორტო საკითხთა და ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო ურთიერთობების და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიებთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, გოჩა თევდორაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.
სხდომას ესწრებოდა:
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი

-ნინო კვეტენაძე

იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი- სერგო ბირკაძე

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი-ვასილ აბულაძე

მუნიციპალური ინსპექციის უფროსი- გიორგი ბაგრატიონი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭი უყარა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-86 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. (06.06.2019. №12-031915797-03)

2. “ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N45-ის მიმდებარედ არსებული 62 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.020.504) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (4.06.2019; N12-0319155133-03)

3.“ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა, N4-ში არსებული 800 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 72.16.22.914) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (17.06.2019; N12-0319168106-03)

4. „ქალაქ თბილისში, ავჭალის მასივის ტერიტორიაზე არსებული 1960 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.11.04.017.132) საჯარო სამართლის იურიდიული პირი- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (10.06.2019; №12-03191611-03)

5.„ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე 518 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N81.02.12.510) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (20.05.2019; №12-0319140116-03)

6.“ქალაქ თბილისში, ქუჩა დიმიტრი უზნაძე, 43-ში არსებული 2947 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8 და N5 შენობა-ნაგებობის ქვეშ არსებული სარდაფის (საკადასტრო კოდი: 01.16.05.013.021) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.(18. 06. 2019; N12-03191695-03)

7. „ქალაქ თბილისში, წყნეთის ტერიტორიასა და წყნეთის სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ: №01.20.01.012.059; №01.20.01.012.060) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.(18. 04. 2019; №12-031910874-03)

8. “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N7-11 / ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.055.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (8.05.2019; N12-031912835-03)

9. “აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ქონების მართვის სააგენტოსა“ და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „სითი ბოქს“-ს (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ N0 427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქს“-ის (ს/კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (05.06.2019; N12-03191563-03)

10. “ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა №17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: №01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის“ (ს/კ: 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (06.06.2019; N12-0319157100-03)

11. „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 2 აპრილის #19.364.505 განკარგულებაში შეტანილი ცვლილების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(04. 06. 2019; N12-0319155131-03)

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ვარკეთილი დეველოფმენთ“-ს (ს/კ 405323699) შორის „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა - ნაგებობებისა და შესასაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის ცალსახა უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის იმპლემენტაციის შესახებ“ ხელშეკრულების დადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (03. 06. 2019; N12-031915456-03)

13. “ქ. თბილისში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს N2 შიმდებარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე (06.06.2019; N12-031915795-03)

14. “ქალაქ თბილისში, მახათას აღმართი N1ბ-სა და რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.08.004.066; N01.16.08.004.067.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე “ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (17.06.2019; N12-0319168105-03)

15. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა, კორპუს N23ა-ში (საკადასტრო კოდი N01.17.10.007.019.01.506 და N01.17.10.007.019.01.507) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (17.06.2019; №12-0319168105-03)

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ: #01.11.09.001.053; #01.11.09.001.158; #01.11.09.001.132; #01.11.09.001.178) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის“ (ს/ნ: 201990079) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე. (04.06.2019; №12-0319155134-03)

17. ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 7 ნოემბრის NE-59-22-3291 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადაუხდელობისთვის 2012 წლის 4 ნოემბრიდან დაკისრებული პირგასამტეხლოსგან როზა რეხვიაშვილის (პ/ნ 35001033462) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე (18.06.2019 ; №12-03191696-03)“

18. „ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი №4-ში მდებარე 3494 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.026.010) სს „სარაჯიშვილისთვის“ (ს/კ: №209444065) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 15 ივლისის №20.30.844 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან სს „სარაჯიშვილის“ (ს/ნ: 209444065) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (19.06.2019 ; №12-03191702-03)

19. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №37-ის მიმდებარედ არსებული 58 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.001.026) 25 კვ.მ. და 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზემელისთვის“ (ს/ნ: 402097271) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (04.06.2019; 12-0319155132-03)

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრების მიერ დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე ისაუბრა ნინო კვეტენაძემ.

მოისმინეს: „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-86 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-86 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება განპირობებულია იმ მიზეზით, რომ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საექსპერტო ან/და აუდიტორულ კომპანიებს დაუსახუსებლად/დისკრიმინაციულად არ შეეზღუდოთ საქმიანობა. „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომელიც ადგენდა სახელმწიფო ქონების პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოს უფლებამოსილებას, სახელმწიფო ქონების შემძენ/მმართველ/მოსარგებლე პირებისთვის მოეთხოვა ვალდებულების დასადასტურებლად ექსპერტიზის ან/და აუდიტის ჩატარება კონკრეტულად განსაზღვრულ პირებთან, ძალადაკარგულად გამოცხადდა 2016 წელს. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონი , რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის დადგენილება, არ აკეთებს კონკრეტიკას და არ განსაზღვრავს პირთა წრეს რომელთა მიერ მომზადებული/გაცემული დასკვნის გათვალისწინება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული ორგანობის მხრიდან. კანონის მე-2 მუხლი ახდენს აუდიტორის, აუდიტორული ფირმის, სერტიფიცირებული ბუღალტრის, აუდიტორული დასკვნის და სხვათა განმარტებას, რომელთა შესაბამისად უნდა განხორციელდეს ნებისმიერი ლიცენზირებული კომპანიის აუდიტორული დასკვნის მიღება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან. შესაბამისად აღარ არსებობს საკრებულოს დადგენილების მოქმედების სამართლებრივი და ლეგიტიმური ინტერესი.

მომხრე-6, გოჩა თევდორაძემ და ვახტანგ შაქარიშვილნა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N45-ის მიმდებარედ არსებული 62 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.020.504) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

სსიპ „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას" სიმბოლურ ფასად გადაეცემა სოფ.დიღომში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N45-ის მიმდებარედ არსებული 62 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.72.14.020.504) წმ.გიორგის სახელობის ტაძრის მომიჯნავედ ახალი ტაძრის მშენებლობის მიზნით, მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გართიანების პირობით.

მომხრე-6, გოჩა თევდორაძემ და ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:"ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა, N4-ში არსებული 800 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 72.16.22.914) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე'

სსიპ „ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა მართლმამდიდებელმა ეკლესიამ", სოფ.თხინვალაში მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე ითხოვა, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა N4-ში არსებული 800 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 72.16.22.914) გადაცემა, შემდგომში ტაძრის მშენებლობის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია შპს „ჰერმესის" წერილობითი პოზიცია, სადაც აღნიშნავენ რომ შპს „ჰერმესი" არ არის წინააღმდეგი ეკლესიის მშენებლობისათვის სოფელი ლისის მიმდებარედ, ლისის საქალაქო სასაფლაოს ტერიტორიის (საკ/კოდი: 72.16.15.321) გამიჯვნაზე. სსიპ ქონების მართვის სააგენტომ განახორციელა საკადასტრო ერთეულის გამიჯვნა და საპატრიაქოსათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა 72.16.22.914 საკადასტრო კოდით. ერთერთ საპრივატიზებო პირობას წარმოადგენს გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ტაძრის მშენებლობა.

მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ავჭალის მასივის ტერიტორიაზე არსებული 1960 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.04.017.132) საჯარო საართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

ავჭალის მასივის ტერიტორიაზე არსებული 1960 კვმ მიწის ნაკვეთი, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით გადაეცემა მართლმადიდებელ ეკლესიას მონასტრისა და ეკლესიის მშენებლობის მიზნით. აღნიშნულს ითხოვს ადგილობრივი მოსახლეობა. წარმოდგენილია სულ 395 ხელმოწერა.

მომხრე- 7 გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე 518 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N81.02.12.510) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

შპს „ლუკა დეველოპმენტ"-მა მომართა სააგენტოს კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: თბილისში, ვ. ბაგრატიონის ქ. #26-ში მდებარე 127 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.13.05.015.017), სოფელ შინდისში მდებარე 518 კვ.მ. მიწის ნაკვეთში (ს/კ: #81.02.12.510) გაცვლასთან დაკავშირებით. კომპანიამ მიწის ნაკვეთი შეიძინა 2017 წელს სააგენტოს მიერ გამოცხადებულ აუქციონზე, 116 280 ლარად. შეძენილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი ჰქონდა სასტუმროს მშენებლობა, რა მიზნითაც მათ მოითხოვეს მიწის ნაკვეთის ინდივიდუალური ქალაქმშენებლობითი პარამეტრების დადგენა. ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭომ და ზონალურმა საბჭომ და 2017 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებებით დადებითი პოზიცია გამოხატეს ინდივიდუალური ქალაქმშენებლობითი პარამეტრების დადგენასთან და ტერიტორიის სამშენებლო განვითარების მიზანშეწონილობასთან

დაკავშირებით. ეს პოზიცია მიღებულ იქნა არქიტექტურის სამსახურის მიერ. ამის მიუხედავად, მათ ვერ მოიპოვეს შესაბამისი ნებართვები მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების მიზნით. ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დასკვნის გათვალისწინებით, მერის 2018 წლის ბრძანებით კომპანიას უარი ეთქვა სასტუმროს განთავსებისთვის განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემაზე. მიწის ნაკვეთის გაბარიტული ზომები ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და მასზე სასტუმროს განთავსების მიზნით განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა სამსახურმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია. გარდა ამისა, აღნიშნული სამსახურის მონაცემებით, დაფიქსირებულია მომიჯნავე ნაკვეთების მესაკუთრეთა კოლექტიური საჩივარი, რომლებიც წინააღმდეგნი არიან ყოველგვარი მშენებლობის უნდა აღინიშნოს, რომ #01.13.05.015.017 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავედ რეგისტრირებულია თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 391 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელთანაც გაერთიანება უკეთესი მახასიათებლების მქონე უძრავი ქონების წარმოქმნის შესაძლებლობას იძლევა. ამ თვალსაზრისითაც, მიზანშეწონილია განხილულ იქნეს #01.13.05.015.017 საკადასტრო ერთეულის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების საკითხი. კომპანია უარს აცხადებს მოითხოვოს ფასთა შორის სხვაობა, თუ მისი ნაკვეთის ღირებულება მეტი იქნება კომპანიისთვის სანაცვლოდ მისაღები ნაკვეთის ღირებულებაზე.
მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.
მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ქუჩა დიმიტრი უზნაძე, 43-ში არსებული 2947 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8 და N5 შენობა-ნაგებობის ქვეშ არსებული სარდაფის (საკადასტრო კოდი: 01.16.05.013.021) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

მოქალაქე ვენერა ალიშევას საკუთრებაზე თამარაშვილის ქუჩა N13-ში მდებარე N01.10.16.004.249 და N01.10.16.004.250 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, მასთან შეთანხმების გარეშე განხორციელდა საავტომობილო გზის მშენებლობა და შედეგად, მითითებული მიწის ნაკვეთის ნაწილი - 1247 კვ.მ დაიკავა გზამ. როგორც ვენერა ალიშევას წარმომადგენელი განმარტავს, გაყვანილმა გზამ ორ ნაწილად გაყო ერთიანი მიწის ნაკვეთი, რის გამოც არალიკვიდური გახადა დარჩენილი მიწის ნაკვეთებიც, რადგანაც ის გეგმავდა ზემოხსენებული ტერიტორიის ერთიან განაშენიანებას. პირველ ეტაპზე, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N 18.1177.1645 განკარგულების თანახმად, განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.05.007.467 და N01.14.05.007.059 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზება, ვენერა ალიშევას საკუთრებაში არსებული N N01.10.16.004.241 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავი ქონების თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, აღნიშნულ საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაიცა თანხმობა 2019 წლის 25 იანვრის N11 განკარგულების საფუძველზე. ამ ეტაპზე შესათანხმებლად წარმოდგენილია თბილისში, ქუჩა დიმიტრი უზნაძე, N43-ში მდებარე 2947 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ში სარდაფის ფართით - 56.24 კვ.მ; I სართული - 268.54 კც.მ, შენობა ნაგებობა N2-ში სარდაფი - 237.33 კვ.მ. I სართული - 265.84 კვ.მ. II სართული - 246.94 კვ.მ, შენობა-ნაგებობა N3-ში სარდაფი - 245.78 კვ.მ. I სართული - 270.76 კვ.მ. II სართული - 275.95 კვ.მ, შენობა-ნაგებობა N4, N5, N6, N7, N8-ში საერთო ფართით - 453.9 კვ.მ, N5 შენობა-ნაგებობის ქვეშ სარდაფი ფართით - 23.21 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N 01.16.05.013.021) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხი, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, ვენერა ალიშევას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ქუჩა თამარაშვილი, N13-ში მდებარე 3010 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 01.10.16.004.249) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ .საპრივატიზებო პირობებად განისაზღვრა: რომ ვენერა ალიშევა უარს ამბობს სხვაობაზე თუ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების ღირებულებას და ვალდებულია

ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 წლის განმავლობაში ხელი არ შეუშალოს სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრსა და შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურს“ საქმიანობის უწყვეტად განხორციელებაში. ასევე ვენერა ალიშევას ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 წლის ვადით შეზღუდული ექნება N 01.16.05.013.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სამშენებლო განვითარების უფლება, გარდა საპროექტო-სანებართვო ღონისძიებების განხორციელებისა.

მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, წყნეთის ტერიტორიასა და წყნეთის სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ: №01.20.01.012.059; №01.20.01.012.060) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

მოქალაქე ირაკლი კიკაჩეიშვილი ითხოვს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, ბაგების სატყეო უბანში მდებარე 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და წყნეთში არსებული 1001 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ; №01.20.01.012.030; №01.20.01.012.066) გაცვლას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში: წყნეთის ტერიტორიასა და წყნეთის სატყეო უბანში არსებულ 600 კვ.მ. ფართობების მიწის ნაკვეთებში (ს/კ; №01.20.01.012.059; №01.20.01.012.060). იგი აღნიშნავს, რომ ვერ ახორციელებს სახლის მშენებლობას. ამასთან, თანახმაა, მიწის ნაკვეთების ღირებულებებს შორის სხვაობა გადიხადოს დამატებით. №01.20.01.012.030 და №01.20.01.012.066 საკადასტრო ერთეულებზე სამშენებლო განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ ნაკვეთებზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ-1), რომელიც წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვან საცხოვრებელ ქვეზონას და მოიცავს მხოლოდ არსებულ ან დაგეგმილ სასოფლო-სააგარაკო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არასასოფლო-სამეურნეო ახ საკარმიდამო გამოყენების ნაკვეთებს. ამასთან აღნიშნა, რომ გახიხილებოდა ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ფუნქციური ზონის ცვლილებას. შესაბამისად სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას, გენგეგმის დამტკიცებამდე განეხილა სამშენებლო განვითარების საკითხი. მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმით, №01.20.01.012.030 და №01.20.01.012.066 საკადასტრო ერთეულებს მიენიჭა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა. დაინტერესებულ პირს ახალი გენგეგმის მინიჭებამდე არქიტექტურის სამსახურში უკვე ჰქონდა წარდგენილი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო შეთანხმების საკითხები, რაც ექვემდებარებოდა დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით განხილვას არსებული ფუნქციური ზონიდან გამომდინარე. არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებებით მესაკუთრეს ეცნობა, რომ ამ ნაკვეთებზე საკითხების განხილვა შესაძლებელი იქნებოდა გრგ-ს დამტკიცების შემდგომ, ტერიტორიის გაუნაშენიანებლობის გამო. მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და ირაკლი კიკაჩეიშვილი გადაიხდის მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობას 45 000 ლარს.

მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N7-11 / ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.055.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

ლაშა შიუკაშვილს პირდაპირი განკარგვის ფრმით სიმბოლურ ფასად გადაეცემა სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N7-11 / ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N7-ში პირველ და მეორე სართულზე მდებარე უძრავი ქონება 105,64 კვმ ფართი.
მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: "აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ქონების მართვის სააგენტოსა" და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „სითი ბოქს"-ს (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" N0-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქს"-ის (ს/კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.
ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეტერატების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის პირობების მოწონების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებაში. იცვლება ერთი ლოკაცია და გორგასლის ქუჩა #41-ის მიმდებარედ 8 კვმ მიწის წაკვეთის (საკ/კოდი: 01.18.06.001.081) წაცვლად ლესელიძის ქუჩის #13-ის მიმდებარედ 1292 კვმ მიწის ნაკვეთიდან 8 კვმ მიწის ნაკვეთი (1.18.03.047.003) . გარდა ამისა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, გარდა სარგებლობის ქირის გადახდისა, ეკისრება პირგასამტეხლო 100 ლარი. შესათანხმებლად წარმოდგენილია ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის შპს „ სითი ბოქს"-ის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების საკითხი.
მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა №17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: №01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის" (ს/კ: 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე"

ა(ა)იპ „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლი" ითხოვს, ჭავჭავაძის ჩიხი #37-ის მიმდებარედ/ჭავჭავაძის ჩიხი N 37-ში (საკადასტრო კოდი: #01.14.14.005.163) შენობა-ნაგებობა #1-ში, პირველ სართულზე მდებარე 100.96 კვ.მ. ფართზე იჯარის უფლების შეწყვეტას და ჩიტაიას ქუჩა N 17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემას 2 წლის ვადით. ორგანიზაცია, თბილისში ფუნქციონირებს 2006 წლიდან და ფსიქიკური დარღვევების პრევენციის მიზნით, ემსახურება მცირეწლოვან ბავშვებს და მათ მშობლებს, ასევე - აუტისტური სპექტრის, აშლილობის დიაგნოზისა და მენტალური შეზღუდვის მქონე პირებს. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ბრძანების საფუძველზე, 2018 წლის დეკემბერში აღნიშნულ უძრავ ქონებაზე შეწყდა იჯარის უფლება. ამასთან, არსებულ უძრავ ქონებაზე, შესრულებულია ფინანსური ვალდებულებები, კერძოდ, გადახდილია საიჯარო ქირის დავალიანება, ხოლო რაც შეეხება პირგასამტეხლოს საკითხს, მისი გადახდის ვალდებულებისაგან ა(ა)იპ - „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლი" გათავისუფლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის N19.227.294 განკარგულებით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N82 განკარგულებით.
მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 2 აპრილის #19.364.505 განკარგულებაში შეტანილი ცვლილების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

ნინო კვეტენაძის განმარტებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 2 აპრილის №19.364.505 განკარგულებაში შეტანილი ცვლილება, აღნიშნული ცვლილებით სააგენტო დამატებით უზრუნველყოფს მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) დამოუკიდებელ აუდიტორულ შეფასებას“ და ემატება პუნქტი, რომლის თანახმადაც “თუ ხელშეკრულების 5.8[1] პუნქტით გათვალისწინებული განახლებული შეფასების მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) ღირებულება განსხვავდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2019 წლის 12 თებერვლის №000705819 №000945119 ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრულ საბაზრო ღირებულებისგან, მუნიციპალიტეტის მთავრობის მხრიდან შესაძლოა განხილულ იქნეს სხვაობის კომპენსაციის საკითხი, ფულადი სახით ან დამატებით უძრავი ქონების გადაცემის გზით.

მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ვარკეთილი დიველოფმენთ“-ს (ს/კ 405323699) შორის „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა - ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის იმპლემენტაციის შესახებ” ხელშეკრულების დადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

„ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა - ნაგებობების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 იანვრის №19.95.149 განკარგულების საფუძველზე, გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, ინტერესთა გამოხატვის პირობები მოწონებული იქნა საკრებულოს მიერ 2019წ ლის 12 თებერვლის განკარგულებით. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ვარკეთილი დიველოფმენთი”. შესათანხებლად წარმოდგენილია აღნიშნულ კომპანიასთან იმპლემენტაციიის ხელშეკრულება.

საკითხთან დაკავშირებით ირაკლი ზარქუას შეკითხვაზე, ნინო კვეტენაძემ განმარტა რომ ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობა მიიღო ორმა კომპანიამ. მათ შორის შპს „ ნინო ქონთრაქშენ“-მა ვერ შეძლო ინტერესთა გამოხატვის შედეგად განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა. შესაბამისად გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ვარკეთილი დიველოფმენთი“.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.
მოისმინეს: "ქ. თბილისში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს N2-ში მდებარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

№632 კოოპერატივის 15 წევრს და №659 კოოპერატივის 1 წევრს გადაეცემათ, დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს N2-ში მდებარე უძრავი ქონება, საერთო ჯამში 1268,14 კვმ საცხოვრებელი ფართი, მათი მხრიდან მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.
მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, მახათას აღმართი N1ბ-სა და რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.08.004.066; N01.16.08.004.067.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე "

ჩუღურეთის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, თბილისში მახათას აღმართი, N1 ბ-ში და რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი N01.16.08.004.066; N01.16.08.004.067.01.500) მდებარე უძრავი ქონებები საკუთრებაში გადაცემათ 10 პირს (10 ოჯახს) საერთო რაოდენობით 712,61 კვმ. პირადი განცხადებებით დასტურდება, რომ მოქალაქეები აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 1994 წლიდან ხოლო დიდუბე ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით სასამართლომ ისინი აღიარა დაკავებული ფართების კეთილსინდისიერ მფლობელებად, შსს-ს ინფორმაციით დასტურდება რომ მოქალაქე ამირან სამარგულიანი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1994 წლიდან.
მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა, კორპუს N23ა-ში (საკადასტრო კოდი N01.17.10.007.019.01.506 და N01.17.10.007.019.01.507) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" .

ისნის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, თბილისში, წულუკიძის ქუჩა, კორპუს N23ა-ში (საკადასტრო კოდი N01.17.10.007.019.01.506 და N01.17.10.007.019.01.507) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. აღნიშნულ პირებს (2 პირს), რომლებიც შსს-ს ინფორმაციით და მეზობლების დასტურით აღნიშნულ მისამართზე მუდმივად ცხოვრობენ 2008 წლიდან, გადაეცემათ 2 ერთეული ფართი საერთო რაოდენობით 128.92 კვ.მ.
მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.
მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ: #01.11.09.001.053; #01.11.09.001.158; #01.11.09.001.132; #01.11.09.001.178) არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირის „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის“ (ს/ნ: 201990079) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“.

ა(ა)იპ „ ფეხბურთის ფედერაციისა“, რომლის მიზანია რაც შეიძლება მეტ ქალაქსა თუ უბანში მოეწყოს საფეხბურთო მოედნები და ინფრასტრუქტურა, პირდაპირი განკარვის ფორმით სიმბოლურ ფასად გადაეცემა გლდანის რაიონში, სოფლის შემოგარენში არსებულ 7204 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.11.09.001.053), რადიოქარხნის ტერიოტრიის მიმდებარედ არსებულ 824 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.11.09.001.158), გლდანის VIIმ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებულ 4836 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.11.09.001.132) და სოფელი გლდანი, გლდანის შემოგარენში არსებულ 1309 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.11.09.001.178). საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა: საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე ერთი ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული საფეხბურთო მოედნის (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) და ერთი მინი საფეხბურთო მოედნის (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) მოწყობა არაუგვიანეს 2020 წლის ბოლომდე. ასევე საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთების განვითარება და ფუნქციონირება მხოლოდ სპორტული დანიშნულებით,სპორტული დანიშნულებით ფუნქციონირებისთვის საჭირო ობიექტების განთავსების შესაძლებლობით და მათთვის სპორტული პროფილის მუდმივად შენარჩუნება.

მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 7 ნოემბრის NE-59-22-3291 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადაუხდელობისთვის 2012 წლის 4 ნოემბრიდან დაკისრებული პირგასამტეხლოსგან როზა რეხვიაშვილის (პ/ნ 35001033462) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

წარმდგენილია შესათანხმებლად ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 7 ნოემბრის გადაწყეეტილებით გათეალისწინებული სარგებლობის საფასურის გადაუხდელობისთეის 2012 წლის 4 ნოემბრიდან დაკისრებული პირგასამტეხლოსგან როზა რეხვიაშვილის გათავისუფლების საკითხი, იმ პირობით, რომ სასამართლოში მხარეებს შორის დავაზე მორიგებით შეწყდება საქმის წარმოება და როზა რეხვიაშვილი უზრუნველყოფს სარგებლობის წლიური საფასურის დავალიანების, 8754.52 ლარის 2 წლის განმავლობაში გადახდას.

მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი №4-ში მდებარე 3494 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.026.010) სს „სარაჯიშვილისთვის“ (ს/კ: №209444065) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 15 ივლისის №20.30.844 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან სს „სარაჯიშვილის“ (ს/ნ: 209444065) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სს „სარაჯიშვილს“ 2013 წელს, იჯარით 49 წლის ვადით გადაეცა, სარაჯიშვილის გამზირი №4-ში მდებარე 3494 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ყოველწლიური საიჯარო ქირა შეადგენდა 20964 ლარს. კომპანია 2014 წლიდან ვერ ასრულებდა საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებას, რის გამოც შეუწყდა ხელშეკრულება 2017 წლის 24 ნოემბერს და დაეკისრა პირგასამტეხლო. კომპანიამ, იმ მოტივით, რომ ფაქტიურად მიწის ნაკვეთს 2017 წლის თებერვლიდან არ იყენებდა, მიმართა სასამართლოს საიჯარო ქირის გადახდის ნაწილში. სასამართლომ დაავალა მხარეებს მორიგება. სს „სარაჯიშვილი“ თანახმაა გადაიხადოს 2017

წლის თებერვლამდე საიჯარო ქირა და ითხოვს დანარჩენ პერიოდზე პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებას.

მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №37 ის მიმდებარედ არსებული 58 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.001.026) 25 კვ.მ. და 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზემელისთვის“ (ს/ნ: 402097271) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

შპს „ზემელის“ (ს/ნ: 402097271) იჯარით გადაეცემა რუსთაველის გამზ. №37-ის მიმდებარედ არსებული 58 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.001.026) 25 კვ.მ. და 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთები , ღია კაფეს მოსაწყობად. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია იჯარის უფლებით ფლობს რუსთაველის გამზ. №37-ში მდებარე ფართებს (ს/კ: №01.15.04.001.0001.01.617, №01.15.04.001.0001.01.618, №01.15.04.001.0001.01.619, №01.15.04.001.0001.01.620) 2025 წლის 1 იანვრამდე.

განკარგულების პროექტით გახანგრძლივება მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 2025 წლის 1 იანვრამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 6200 (ექვსი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

მომხრე-7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა